ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7915588

ნომერი: AR11140569

თარიღი : 04.05.2026

გაცემის თარიღი : 11.05.2026

გაცნობის თარიღი : 11.05.2026

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა, N 57. კორპუსი N1, კორპუსი N2;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან ნოსელიძე პ/ნ 01017056513
- ნ. ჟვანიას 8

ნომენკლატურა :

- I კლასი
- V კატეგორიის ელექტროსადგურები (50 კვტ-მდე ჰიდროელექტროსადგური, მზის ან ბიოგაზის დანადგარი) ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი განცხადება თანდართული დოკუმენტაციით პასუხად გაცნობებთ იმისათვის რომ სამსახურმა შეძლოს თქვენ საკითხთან დაკავშირებით მსჯელობა, პირველ რიგში საჭიროა განიმარტოს ტერიტორიაზე არსებული შენობებიდან რომელ შენობაზე იგეგმება მზის ენერგიის აკუმულატორების განთავსება .

ვინაიდან ვერ ხერხდება საპროექტო შენობისს გადახურვის კანონიერების დადგენა (სავარაუდოდ პროექტით ტერასის ფართზე პერგოლის მოწყობა იყო გათვალისწინებული) სამსახური ამ ეტაპზე ვერ იმსჯელებს მის შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებით და მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი AR11140569 განაცხადის მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.